შეთანხმების ოქმი

ქ. ბაღდათი 10 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის კახა ენუქიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეო მშენებელი“, მისი დირექტორის მიხეილ ჩხეიძის სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 11 აპრილის №86 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის ქვიშა-ხრეშის შესყიდვაზე მოხდეს სახელშეკრულებო თანხის ცვლილება მისაწოდებელი საქონლის მოცულობის ცვლილებიდან გამომდინარე (1640 $მ^3$ შემცირდეს 100 $მ^3$-ით ვარციხისათვის მისაწოდებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობით) და განისაზღვროს 24 580 ლარით. შეთანხმება მოხდეს ვარციხის ტერიტორიულ ერთეულში მერის რწმუნებულის ივანე კაპატაძის მომართვის საფუძველზე.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობები და ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ელექტრონულად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 11 აპრილის №86 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი	შპს „ჯეო მშენებელი“
მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე:	დირექტორი:
კ. ენუქიძე	მ. ჩხეიძე